დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 63 08
25/10/2019

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,მართვესათვის'' ააიპ ,,დმანისის სამუსიკო სკოლის'' შენობის ფართის (სარეპეტიციო დარბაზი) იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტის, 26-ე მუხლის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 30 სექტემბრის №07/3902 წერილისა და შპს ,,აუდიტორული ფირმა საპიენტი სატი-777''-ს 2018 წლის 27 აგვისტოს №1-27,08/3 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,მართვეს'', ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა №58-ში მდებარე ააიპ ,,სამუსიკო სკოლის'' შენობის (ს/კ 82.01.11.165) სარეპეტიციო დარბაზის 160 კვ.მ ფართი, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 1 (ერთი) წლის ვადით, ანსამბლი ,,მართვეს'' სარეპეტიციოდ და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 200 (ორასი) ლარი თვეში.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე